,,სასწავლო პროცესთან დაკავშირებით კითხვარის (კვლევის)
ბსუ-ს პორტალის გამოკითხვის მოდულში განთავსების წესის დამტკიცების შესახებ“

ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 31 მარტის N01-02/58 ბრძანების

N1 დანართი

სასწავლო პროცესთან დაკავშირებით კითხვარის (კვლევის) ბსუ-ს პორტალის გამოკითხვის მოდულში განთავსების წესი

ბსუ-ს პორტალის გამოკითხვის მოდულში სასწავლო პროცესთან დაკავშირებით ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკით გათვალისწინებული გამოკითხვის (კვლევის) ჩატარების მიზნით, ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი შესაბამისი გამოკითხვის/კვლევის ჩატარების ინიცირების თაობაზე სამსახურებრივ ბარათს წარუდგენს ბსუ-ს რექტორს, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს ამ წესზე თანდართული ნიმუშის შესაბამისად შევსებული ფორმა - ,,გამოკითხვის შესახებ ინფორმაცია/განმარტება“ და შესაბამისი კითხვარი

ბსუ-ს სტუდენტური პორტალის ,,გამოკითხვის მოდულში“ განთავსებული კითხვარის შესახებ ზოგადი ინფორმაცია-განმარტება გამოსაკითხი პირისათვის (კვლევაში მონაწილისათვის)	
კითხვარის (კვლევის) დასახელება : (მაგალითად: ,,სასწავლო კურსით კმაყოფილების კვლევა“)	
კვლევის მიზანი:	სასწავლო კურსებით კმაყოფილების კვლევის (სასწავლო კურსის შეფასების) მთავარი მიზანია განათლების ხარისხის გაუმჯობესება, სტუდენტთა საჭიროებების უკეთ გაგება და საგანმანათლებლო პროცესების ეფექტიანობის ამაღლება. კვლევა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ.
გამოსაკითხი პირი - მონაცემთა სუბიექტი	(მაგალითად - სტუდენტი)
გამოკითხვის პერიოდი (მიმდინარე სემესტრში გამოკითხვის დაწყება-დასრულების თარიღები)	მაგალითად: რიცხვი/თვე/წელი-რიცხვი/თვე/წელი
გამოკითხვის ფორმატი (პროცედურა)	გამოკითხვის ფორმატი ელექტრონულია, გამოსაკითხი პირი-მონაცემთა სუბიექტი ავსებს ბსუ-ს პორტალის გამოკითხვის მოდულში განთავსებული შესაბამისი კითხვარის ველებს (პასუხობს კითხვებს/აკეთებს კომენტარს).

კვლევაში მონაწილეობის მნიშვნელობა:	სასწავლო კურსის შეფასება უზრუნველყოფს გამოკითხულის პოზიციის გათვალისწინებას ბსუ-ს სასწავლო პროცესში, გამოკითხულის ობიექტური შეფასებები ხელს უწყობს აკადემიურ/მოწვეულ პერსონალს და ადმინისტრაციას, რათა უზრუნველყონ სწავლების ხარისხის გაუმჯობესება; გამოკითხვაში მონაწილეობა (უკუკავშირი) მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს განათლების ხარისხის უწყვეტ განვითარებას უნივერსიტეტში.
კვლევის მონაწილე (გამოსაკითხი) პირის უფლებები	კვლევაში/გამოკითხვაში მონაწილეობა ნებაყოფლობითია. პირს უფლება აქვს ნებისმიერ ეტაპზე შეწყვიტოს კვლევაში მონაწილეობა.
გამოკითხვის/გამოკითხულის კონფიდენციალურობა	გამოსაკითხი პირის პერსონალური მონაცემები კონფიდენციალურია. კითხვარის შევსების გზით **მოწოდებული ინფორმაცია** (პასუხები/კომენტარები) გამოიყენება მხოლოდ კვლევის მიზნებისა და სტატისტიკური ანალიზისათვის. კითხვარის შევსების შედეგად მიღებული ინფორმაციის/მონაცემების დამუშავება **და** პერსონალური მონაცემების დაცვა ხორციელდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის, ბსუ-ს პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის და „ბსუ-ში ელექტრონული სერვისების მართვის ადმინისტრირების წესის" საფუძველზე (აღნიშნული სამართლებრივი აქტების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია ბსუ-ს ვებგვერდზე, იურიდიულ ცნობარში და სტუდენტთა გზამკვლევში **(იხილეთ ბმული** ----)
გამოკითხვის (კვლევის) ფარგლებში დამუშავებულ მონაცემებზე წვდომის უფლებამოსილების მქონე პირთა წრე/წვდომის არეალი და გამოკითხვის ფარგლებში დამუშავებული მონაცემების მოცულობა/ჩამონათვალი	**ე.წ. „საგნობრივი კითხვარის"** (სასწავლო კურსის შეფასება) **შემთხვევაში:** ბსუ-ს რექტორს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, რექტორის მოადგილეს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს, შესაბამისი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს; **სასწავლო პროცესის დეპარტამენტის უფროსს** (ბსუ-ს პორტალის მთავარ ადმინისტრატორს) **წვდომა აქვთ (ბსუ-ს პორტალის ინტერფეისის მეშვეობით) შემდეგ მონაცემებზე:** გამოკითხვაში მონაწილეთა რაოდენობა; გამოკითხულთა შეფასებები/პასუხები; გამოკითხულის **კომენტარი და მისი თარიღი** (არსებობის შემთხვევაში); ფაკულტეტის დასახელება; სწავლების საფეხური; საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება; სასწავლო სემესტრი; სასწავლო კურსის/კომპონენტის განმახორციელებელი პირის (შემდეგში - ლექტორის/პერსონალის) **სახელი, გვარი;** **შესაფასებელი სასწავლო კურსის განმახორციელებელ პირს** - აკადემიური/მოწვეული პერსონალის წარმომადგენელს (ლექტორს) - **წვდომა აქვს** (ბსუ-ს პორტალის ინტერფეისის მეშვეობით) შემდეგ მონაცემებზე: სასწავლო კურსის/სასწავლო კომპონენტის მონაცემები (დასახელება, სახე: ლექცია/ჯგუფში მუშაობა/პრაქტიკა/კურაცია/ნაშრომი ან სხვა), გამოკითხვაში მონაწილეთა რაოდენობა; ფაკულტეტი; საგანმანათლებლო პროგრამა; გამოკითხულთა პასუხი/შეფასება; კომენტარი, რომელზეც უფლებამოსილი პირის მიერ განესაზღვრა წვდომა (გაცნობის/ხედვის შესაძლებლობა).

	შესაფასებელი სასწავლო კურსის განმახორციელებელ პირს - აკადემიური/მოწვეული პერსონალის წარმომადგენელს (ლექტორს) **წვდომა არ აქვს** გამოკითხული **სტუდენტის სემესტრზე.** **ბსუ-ს პორტალის პროგრამულ უზრუნველყოფაზე უფლებამოსილ პირს** **წვდომა აქვს** <u>ბსუ-ს პორტალის ინტერფეისის მეშვეობით - ყველა ზემოაღნიშნულ მონაცემებზე,</u> **ხოლო ბსუ-ს პორტალის მონაცემთა ბაზის მეშვეობით** **წვდომა აქვს შემდეგ მონაცემებზე:** გამოკითხვის ID; კითხვის ID, კითხვა 2-ის (სასწავლო კურსი) ID, გამოკითხული პირის ID, ფაკულტეტის ID, სასწავლო პროგრამის ID, სემესტრი; სასწავლო კურსის (საგნის) სემესტრი (სასწ. გეგმის შესაბამისად); სასწავლო კურსის/კომპონენტის განმახორციელებელი პირის/პირების (შემდეგში - ლექტორის/პერსონალის) ID, გამოკითხულის შეფასება და მისი თარიღი; გამოკითხულის კომენტარი და მისი თარიღი.
გამოკითხულის იდენტიფიცირების შესაძლებლობა	ბსუ-ს ეთიკის კოდექსის, აკადემიური კეთილსინდისიერების ნორმების დარღვევის თაობაზე მონაცემთა სუბიექტის (გამოკითხული პირის კომენტარის ადრესატი) ან **უფლებამოსილი პირის** (<u>1.</u> უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი; 2. შესაბამისი ფაკულტეტის დეკანი; 3. შესაბამისი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი; 4. შესაბამისი სასწავლო კურსის განმახორციელებელი პირი - გამოკითხვის ადრესატი (მხოლოდ ე.წ. ,,საგნობრივი გამოკითხვის" შემთხვევაში)) განცხადების საფუძველზე რექტორის ბრძანებით იქმნება კომისია, რომელიც ბსუ-ს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერთან კოორდინაციით (კონსულტაციით) ადგენს დასკვნას კონფიდენციალურ გამოკითხვაში მონაწილე პირის იდენტიფიცირების მიზანშეწონილობის თაობაზე. აღნიშნული დასკვნა წარედგინება ბსუ-ს რექტორს, რომელიც უფლებამოსილია გამოსცეს ბრძანება გამოკითხვაში მონაწილე პირის იდენტიფიცირების თაობაზე, ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის, ბსუ-ში ეთიკის ნორმების, სტუდენტის/დასაქმებულის კანონიერი ინტერესების დაცვის მიზნით.
გამოსაკითხი პირის/კვლევაში მონაწილე პირის პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე ინფორმირებული თანხმობა	გავეცანი ბსუ-ს სტუდენტური პორტალის ,,გამოკითხვის მოდულში" განთავსებული კითხვარის შესახებ ზოგად ინფორმაციას-განმარტებას, **„თანახმა ვარ მივიღო მონაწილეობა გამოკითხვაში და დამუშავდეს ჩემი პერსონალური მონაცემები** ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის, ბსუ-ს პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის, ,,ბსუ-ში ელექტრონული სერვისების მართვის ადმინისტრირების წესის" და ,,სასწავლო პროცესთან დაკავშირებით კითხვარის (კვლევის) ბსუ-ს პორტალის გამოკითხვის მოდულში განთავსების წესის" შესაბამისად. **გთხოვთ, დაადასტუროთ თქვენი თანხმობა** (მონიშნეთ) ☐ ვეთანხმები
	დამატებითი კითხვების შემთხვევაში, გთხოვთ, დაუკავშირდეთ: ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი:

დამატებითი ინფორმაცია:	ტელ: ელ. ფოსტა: ბსუ-ს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი: ტელ: ელ. ფოსტა:

ბსუ-ს სტუდენტურ პორტალზე სასწავლო კურსით კმაყოფილების კვლევის ფარგლებში სტუდენტთა გამოკითხვის კითხვარი (ნიმუში)
გთხოვთ 5 ქულიანი სისტემით შეაფასოთ **ცალკეული საგნები, რასაც გადიხართ ამ სემესტრში** **1 ქულა** - სრულიად არ ვეთანხმები, **5 ქულა** - სრულიად ვეთანხმები **პროგრამის დასახელება**_____ **სასწავლო კურსის დასახელება**_____

შეკითხვა	შეფასება				
	1	2	3	4	5
სასწავლო კურსის მიზნები შეესაბამება კურსის შინაარსს					
სასწავლო კურსი უზრუნველყოფს დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევას					
სასწავლო კურსი უზრუნველყოფილია შესაბამისი სასწავლო მასალით					
კურსით გათვალისწინებული დატვირთვა სტუდენტისათვის ადეკვატურია					
კურსის ფარგლებში მიმდინარე შეფასებები გამჭვირვალე და სამართლიანია					
შეალედური/დასკვნითი გამოცდის შეფასება იყო გამჭვირვალე და სამართლიანია					
რას შეცვლიდით? დაამატეთ თქვენი მოსაზრება (კომენტარი)					

შენიშვნა: გამოკითხვის **კითხვარის შინაარსი** პირობითია და მისი მოდიფიცირება (კითხვის დამატება/წაშლა/ცვლილება) შესაძლებელია კონკრეტული გამოკითხვის მიზნებიდან გამომდინარე, ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ბსუ-ს რექტორის სახელზე წარმოდგენილი სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე (ჩასანაცვლებელი კითხვებით), ბსუ-ს სტუდენტური პორტალის ადმინისტრატორი სტრუქტურული ერთეულის მიერ (სასწავლო პროცესის დეპარტამენტი).